

საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე დასასწრებად სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური დელეგაციები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ხვალ, თბილისის დროით 12.00 საათამდე ჩამოვლენ.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, პრეზიდენტის ინაუგურაცია 13:00-13:45 საათამდე გაიმართება.

14:00-14:15 საათზე, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს გვირგვინით შემკობის ცერემონია გაიმართება. ცერემონიაში მონაწილეობას მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს.

14:30-15:40 საათზე, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში", საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უცხოეთის დელეგაციების ხელმძღვანელთა პატივსაცემად გამართულ ლანჩს უმასპინძლებს.

15:45-17:45 საათზე, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს პრეზიდენტისა და უცხოეთის დელეგაციების ხელმძღვანელთა ორმხრივი შეხვედრა გაიმართება.

ამასთან, უცხოეთის დელეგაციის ხელმძღვანელებს შესაძლებლობა ექნებათ, (მოთხოვნის საფუძველზე) დაგეგმონ ორმხრივი შეხვედრები სხვა ქართველ და უცხოელ მაღალჩინოსნებთან სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში".

18:00-19:00 საათზე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის აღსანიშნავი გალა-კონცერტი გაიმართება.

19:30-21:00 საათზე, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიღებას გამართავს.

21:00 საათის შემდეგ უცხოეთის დელეგაციის წევრები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრებიან.